# თეატრი და ცხოვრება

გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას
თავისუფალ საქართველოში!

გაუმარჯოს საქართველოს
დემოკრატიულ რესპუბლიკას!

,,თეატრი და ცხოვრება"

წლიურად 50 მან., ნახევარ წლით 30 მან. თითო ნომ-
რი--5 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის
ქ. № 20, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. თბილისი,
რედ. ,,თეატრი და ცხ-ვრე"ა" იოსებ იმედაშვილი.
ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 86

1919 წ. № 12 კვირა გიორგობისთვის 9 | ფასი 5 მან. | წელიწადი მეშვიდე გამოცემის


მიიღება 1920 წ. ხელის მოწერა· წლიურად 50 მ.



ვასილ ბარნოვი

ს მწერლო მოღვაწეობის 30 წლ ს შესრულების გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უმადურობა თუ უვიცობა

ერთი რაჭველი იყო თურმე. პირველად წყალკურთხევის დღეს ჩამოვიდა თბილისში, კუკიის ხიდზე. დაინახა აუარებელი ხალხი მიმვალი. გაჩერდა ხიდის ყურზე და ყველა მიმსვლელს გზას სთავაზობდა: მიბრძანდი შენი ჭირიმე... და საღამომდე ერთ ადგილას შეჩერდა.

ჩვენი ხელოვნების ზოგიერთ მესვეურთა საქციელი სწორედ ამას მოგვაგონებს. ჩაიგდეს ხელში უფლება და ხელოვნების გზას ყველას უთმობენ, თავისიანთა გარდა.

განა საჭიროა მოვიხსენიოთ ქართულ თეატრს და მის ქურუმს მშობელი ერის წინაშე რა დიდი ღვაწლი მიუძღვის?!. სხვა რომ არა იყოს — რა, აღვნიშნავთ, რომ სწორედ ქართულმა თეატრმა და მისმა ქურუმმა აღზარდა ბევრი იმ გმირთაგანი, რომელიც დღეს ასე ღირსეულად უდგას სათავეში ჩვენს ქვეყანას, სამოქალაქო თუ სამხედრო ასპარეზზე.

ნუ თუ იმავე ქართულმა თეატრმა და მისმა სწორუპოვარმა ქურუმმა არ შექმნა ის ერთსულოვნება, ერთაზროვნება რომელიც ჩვენს ქვეყანაში დღეს შედარებით უფრო ძლიერ განმტკიცებულია?

და როდესაც ასეთ ნაამაგდარ ძარღვს ჩვენის საზოგადოებრივ ცხოვრებისას აბუჩად იღებენ, არარად ჰქმნიან, მაშინ უნდა ვსთქვათ რომ ჩვენის ხელოვნების დღევანდელნი მესვეურნი ან უმადურობას იჩენენ, ან უვიცობას... საჭიროა ერთიც და მეორეც წარიხოცოს და ჩვენის კულტუროსნობის დედაძარღვს შესადარი პატივისცემა მიეზღოს.

გვგონია, გაქრა ის დრო, როდესაც ქართველი მსახიობი იძულებული იყო თვისვე ,,ქართულ თეატრში" კარის ქვეშ ემართნა რეპეტიციები, ან წიოწიოდ ევლო, მაშინ, როდესაც გადამათიელს უპირველესი ადგილი ქონდა ხოლმე დათმობილი. დღეს ყოვლად შეუწყნარებელია დამსახურებელ მსახიობთა შესახებ ისეთი განცხადებანი: შუამდგომლობენ, რომ სახელმწიფო თეატრში ერთი დღე მაინც დაუთმონ, ანუ — მხედველობაში იქმნა მიღებული მათი განცხადება და სხ.

შესაძლოა მათი მღვდელმსახურება ახალი მიდის "ხელოვანთ" არ მოსწონდეთ, მაგრამ განა ეს უფლებას აძლევს ვისმეს წიხლი წაჰკრას იმ ,,მიცვალებულთ" (როგორც იციან ხოლმე — ახალი ხელოვნებისთვის ეგენი მიცვალებულ არიანო), რომელთაც ჯერ კიდევ 1917 წ მარტის რევოლიუციამდე მოახდინეს უდიდესი რევოლიუცია და რომელიც ისეთი "მიცვალებულნი" არიან რომ ცოცხალთ წინ უძღვიან..

ვისურვოთ, რომ მათთვის ყველა თეატრთა კარი ფართოდ გაიღოს და შობილმა მშობლის ამაგი ღირსეულ დ დააფასოს...

იოსებ იმედაშვილი



სოსო და სარა მელიქიშვილნი

თავისი შვილით. ძველი დამსახურებელი სცენის მოყვარენი და სახალხო მუშაკნი. სარა მელიქიშვილისა გასულ თვეში ტრაღიკულად დაიღუპა გურიაში (შემოქმედში) ფრიად სასარგებლო, მუყაითი მოღვაწე იყო და მისი დაკარგვა დიდი დანაკლისია ჩვენის პროვინციისა.

## შავი გველი

აი აგერ: როგორ ცოცავს,
ქეჩოს იყრის შავი გველი;
კვლავ ჩაყლაპვას გვეპირება
არამზადა, სძაგელი!?

ცა-ქვეყან მოღუშულა
და ცეცხლს აფრქვევს მინდორ ველი;
ბრძოლის ველზე გამოსულა
ამირანი ძაშვრალთ მხსნელი!.

აღუმართავს ძლევის დროშა,
დაუდვია ხმალზე ხელი;
მოს სხლე მტერს იქ ეშუქვრის
სადაც არის საფლავ ბნელი!!

ზიზღი ავ-სულს, აღარ იქმნეს
ამიერით სისხლის მსმელი,
რო მის ნაცვლად აღმოცენდეს:
მშობელ ერის გრძნობა მხსნელი!

ვაშა იმას, ვინც ბრძოლაში
ჩაებმება დღეს ქართველი
და მოძმისთვის თავს გასწირავს,
რომ აღგავოს ავი გველი!..

ეკტი გეწაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს დრამატიული ხელოვნება

დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიამ პ. საყვარელიძის თავმჯდომარეობით 19 ოქტ. ქართ. კლუბში მოიწვია ხელოვნების დარგში მომუშავეთა კრება დრამატიული ხელოვნების მდგომარეობის გამოსარკვევად. თავმჯდომარე მოკლეთ შეეხო ხელოვნების კითხვას და განსაკუთრებით ქართულ თეატრის კრიტიკულ მდგომარეობას. ვრცელი მოხსენება გააკეთეს ი. გომართელმა და ა. ფაღავამ. მომხსენებლების აზრით ქართული დრამა კრიტიკულ მდგომარეობაშია და საჭიროა პრაქტიკული გზა, რომ ეს სამწუხარო მდგომარეობა შეიცვალოს.

კრებაზე ორ უმთავრეს მოვლენას გაესვა ხაზი.

ერთი მიმდინარეობა აღნიშნავდა, რომ ქართული ხელოვნება კრიზისს განიცდის, მეორე მხარეკი ამას არ იზიარებდა; პირ-იქით -- ქართულ ხელოვნებაში აღორძინების სანას ხედავდა. ბევრი ძველსა და ახალ სკოლაზე. საბოლოოთ კი გამოირკვა, რომ ქართულ თეატრის აღორძინების კითხვა იმისთვის არის კრიტიკული, რომ მომუშავე ძალთა განწყობილება დაქსაქსულია და არ არსებობს მჭიდრო ორგანიზაცია. სწორედ აღნიშნა ,,თეატრი და ცხოვრების,, წარმომადგენელმა, რომ ქართულ დრამის მუშაობა იმისთვის ვერ დგას მკვიდრ ნიადაგზე, რომ რევოლუციის შემდეგ ყველა დარგს უნდა გამოეჩინა ერთგვარი უნარი კოლექტივიზმისა. აქედან მტკიცე იქნებოდა და საღი სახელმწიფოებრივი ორგანიზმი. მაგრამ ეს არ გამართლდა ქართულ თეატრის სფეროში. აქ მომუშავეთ, თითქოს მესიას მოელიანო, ვერ გამოიჩინეს დამოუკიდებელი თაოსნობა საღი ორგანიზაციის შესაქმნელად, ვერ შეაკავშირეს ყველა მომუშავენი. ეს რომ ასე ყოფილიყო საუკეთესო მსახიობები ვასო და ტასო აბაშიძენი სასპეკულიაციო საგნათ არ გახდებოდენ, რომლებიც თავის ნიჭს ,,არშინ მალალანით'' ახურდავებენ და თეატრულ გემოვნებას ურყვნიან ხალხს პროვინციებში, იმის მაგიერ, რომ ხელოვნების რაიმე ნიმუში შეეტანათ

ეს აზრი კრებაზე ნათლად გამოირკვა როცა სტუდიაზე ილაპარაკეს და ა. წუწუნავასაც საყვედურით მიმართეს ზოგიერთებმა, რაზედაც წუწუნავამ უპასუხა: ,,მომეცით ძალები შეკავშირებული და მე მაშინ შემეძლება მუშაობა, ისე კი, თუ ჩემს პირობებში ეძებთ რაღაცა არა ჩვეულებრივს, ეს მდგომარეობის შეუგნებლობა არისო!! კრებაზე, ითქვა საჭიროა შეთანხმება დაქსაქსულ ძალებისა.

მაგრამ, სამწუხაროთ, არ გამოინახა ის ძლიერი ორგანიზაცია, რომ ეს საქმე გააკეთოს. ბოლოს ასეთ ორგანოდ ისევ ხელოვნების კომისია შეიქმნა. კრებამ გადაწყვიტა: დამფუძნებელ კრებას ეთხოვოს ნივთიერი დახმარება. სხვა კითხვების მოწესრიგება როგორიც არის დრამატიულ სკოლის გახსნა, შესაფერ წესდებების გამომუშავება და სხ. ხელოვნების კომისიას მიენდო. სხვა წინადადებათა შორის, კრებამ პრინციპიალურ სახით მიიღო ,,თეატრი და ცხოვრების'' წარმომადგენლის გ. გვერნაძის წინადადება რო მოწვეულ იქნეს მთელი საქართველოს ხელოვნების დარგებში მომუშავეთა საერთო ყრილობა, რომელის ავტორიტეტური ხმა და მის მიერ შექმნილი ცენტრალური ორგანო შექმნის ქართულ ხელოვნების დარგში შეთანხმებითი მუშაობას და მთავრობასაც ექნება საშვალება ამ ორგანოსთან იქონიოს დამოკიდებულება..

მე მგონია, რადგანაც კრებამ ეს წინადადება პრინციპიალურათ უკვე მიიღო, ხელოვნების კომისია პრაქტიკულად უნდა შეუდგეს მის განხორციელებას, რადგანაც ასეთს ფართო მნიშვნელოვან ყრილობას ბევრი რამ შეუძლია გააკეთოს. და შემდეგ, როცა ეს ყრილობა საერთო კითხვებს გამოარკვევს და ამოირჩევს ერთგვარ ორგანოს, ხელოვნების კომისიას საშვალება ექნება უფრო ფართოდ იმუშაოს, რადგანაც დღეს თუ მას ზოგჯერ აღმასრულებელი როლში უხდება გამოსვლა, შემდეგ თავის პირდაპირ მოვალეობით ხელმძღვანელის მოვალეობას იკისრებს და ამით ბევრი რამ შეუძლია საერთო ხელოვნების კითხვას საქართველოში ხელი შეუწყოს.

თუ როგორი სახით უნდა იქნას მოწვეული საერთო ყრილობა, ამას, მე მგონია, ხელოვნების კომისია გამოიმუშავებს. და ამის გვერდით თუ პრესაც გამოთქვამს თავის აზრს, ესეც მნიშვნელოვანი იქნება, რადგანც პრესის წინასწარი გარკვევა ყრილობის პრაქტიკულ და იდეურ მსახურებისა, წარმომადგენლებს საშვალებას მისცემს კითხვებს ძირითად გაეცნონ.

ქ. გერგესელი.

## დ ა რ ბ ა ზ შ ი

ანთეთ სანთლები! — დარბაზში სულ ბნელა,
სად არის შანდლები, აქ მოიტათ ყველა...
საქმე გააძნელეთ!...

დარბაზში ბნელოდა გუშინწინ — გუშინდამ,
არავინ ელოდა მზის სხივებს კინაღამ
და დღეს რომ გათენდა!..

გათენდა! — დარბაზში — დარბაზში კი ბნელა
და სტირის ზარნაში და კლოვობს ენძელა,
დაეძებს სინათლეს!..

სინათლეს ეძებენ მათხოვრის ხელები.
სასახლეს იგებენ ქურდები... მკვლელები
სდევნიან სიმართლეს!..

აანთეთ სანთლები!.. დარბაზში სულ ბნელა,
სად არის შანდლები, აქ მოიტათ ყველა..
საქმე ხააძნელეთ!..

კოკი ებრალიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამწერლო დღესასწაული

### ვასილ ბარნოვის მოღვაწეობის 30 წ.



ვასილ ბარნოვი

ქართულ მწერლობის დათალხულ კაბადონთ დღეს გიორგ. 9 მზის შუქი მიე ფინება.

დღეს დღესასწაულობ ვასილ ბარნოვის სამწერლო მოღვაწეობის 30 წ. თავს.

ვასო ბარნოვი!—ვის არ სმენია ეს საყვარელი სახელი?!

ვასილ ბარნოვი—მას წავლებელი, მეისტორიე, საზოგადო მოღვაწე, ერმათა აღმზრდელი დაყველაზე უფრო მეტად—რომანისტი, მოთხრობა-ამბავთა მწერალი!

გინახავთ საქართველოს მთაგორებიდან გამონაყური ანკარა წყარონი თავს რომ ერთად იყრიან ერთ დიდ მდინარედ გადაიქცევიან, რომელთაც ეკვირცხლიდ დაქანებულნი ბარში მეფური სიდიადით მიმდ ნარეობენ და გზაში მთელს მიდამოის ყოველ სულიერს უკვლევ წყურვილს, ხე მცენარეთ სულს უბრუნებენ,—სულიერი თუ უსულო მისით საზრდოობს და იგი, მდინარე, არც კი ანგარიშობს ვის როგორ მოუხდა მისი ნექტარი?..

ასეთია ვ. ბარნოვის შემოქმედება,—ანკარა, ვითარცა ჩვენის სამშობლოს მთათა წყარონი, დინჯი' ვითარცა ბარის მდინარენი, ყოვლისმხრივი—ვითარცა ჩვენის ქვეყნის მზე..

ენა ფაქიზი, გამოთქმა მხატვრული, განცდა—მრავალმხრივი,

და ყოველივე ეს იმიტომ, რომ არარად ქმნილი თაობა აღზარდოს, სიყვარული გაადვილოს, ადამიანი კაცად აქციოს, ქვეწარმავალი ძე ადამისა ზეკაცობას დაუახლოვოს, თაოსნობას მოკლებული—სრულ ჰქმნას, თავის თავის უცნობი გაათვითცნობიეროს, არარა—რადმე ჰყოს.

ვ. ბარნოვი 30 წ. წინად გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე და მისი მადლიანი კალამი ჯერაც არ შესვენებულა: დღემდე სამოცამდე მოთხრობა-რომანი აქვს დაწერილი, ისტორიული და თანამედროვე ცხოვრებიდან, სხვადასხვა გამოცემებში მოთავსებული.

იშვიათია ასე ნაყოფიერი მწერალი. თითქო დაუშრეტელი წყაროა, ეგოდენ მრავალმეტყველია და დაულეველი შემოქმედება მისი.

მისი ნაწარმოებია; „მეჩვენა'', ,,ისნის ციხე-კარი'' ,,მიმქრალი შარავანდედი'', ,,ტრფობა წამებული'', „თებერას დანიშნული'', ,,ფშავიელებში', ,,სახიფათო სიყვარული'' და მრ. სხვ.

ვუსურვოთ დღეგრძელობა და კვლავ მრავალი მარგალიტების შექმნა.

იოსებ არიმათიელი

## განახლებული სიცოცხლე

რომანი ქართველ-სომეხთა ომიდან

(გაგრძელება. იხ. თ. და ც. № 11)

ს. მდივანი შეწუხდა, ჩაიფუფქა, გუნებაში ჩაიოხრა: ,,სირცხვილი, სირცხვილი ჩვენს თავისუფალ ჯარისკაცებს! ეგენი თავისუფლების კი არა, ნიკოლოზის მათრახის ღირსნი არიანო,''—მერე ჰდროს მიუბრუნდა:

—დიდის სიამოვნებით, ძვირფასო ჰდრო,—დარწმუნებული ბრძანდებოდე, სანაინს ჩავალ თუ არა, ყოველივე თქვენ სახივარს გენ. წულუკიძეს გადავცემ და ვინც კი შენიშნული იქნება დანაშაულობაში, დავსჯით. გწამდეთ ერთი ათად მეტი პასუხი მოეთხოვებათ მოხელეებს, ჯარისკაცებსა და მათს უფროებს... მხოლოდ თქვენცა გთხოვთ, ძალადობას, თვით შურის გებას ერიდეთ. საგანგებო მოციქულები უნდა გაუგზავნოთ სომეხ გლეხებს და დაარწმუნოთ, რომ ძალმომრეობასა, უწესრიგობაზე ხელი აიღონ, თორემ ამითი ვერც სომხეთის მთავრობის გულს მოიგებენ და ჩვენის მთავრობის მხრით კი შეიძლება სასტიკი კანონიერი პასუხი მოეთხოვოთ..

—ჰალბად რომ ასეა,—მიუგო ჰდრომ მელაქუცობით,—განა მაგაში ეჭვი გებადებათ?! დღე-ღამ მაგის ფიქრში ვარ, როგორ მოვახერხო, რომ სულელი ჩვენი სომხის გლეხები შევაჩერო და საქმე საქმეზე მოვიყვანოთ მშვიდობიანად...

—ოღონდ ეცადენით, მეც ჩქარა გავიარო სანაინს, რომ აქაური ამბები ჩემს მთავრობას მოვახსენო..

—აი ღმერთმა გადღეგძელოს! გზა მშვიობისა მოგანიჭოს!—დაუდასტურა ჰდრომ და თავაზიანის ხელის ჩამორთმევით გააცილა.

ჰდრომ ს. მდივანი რო ყალაგერანისკენ გაისტუმრა გუნებაში სიმშვიდე იგრძნო, ხელები გადიფშვნიტა და თავისთვის გუნებაში გაივლო: ,,დამაცა შე ცხვრის თავო!'' და თან ტელეფონით კალაგერანს გამოელაპარაკა.

ვინა რეკავს?—იკითხეს ტელეფონში.

—შენა პოლკოვნიკო!

—დიაღ, პოლკოვნიკი მირიმან იაი!

—პოლკოვნიკო, ეს-ესარის ზამოვიდა თეთრი ცხვარი—საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი ს. მდივანი. ვინძლო როგორმე დიდხანს დააბანდოთ და გზა არ მისცეთ...

მამაცხონებულო. მაგაზედაც თქმა მინდა?!

—რა ვიცი, კაცნი ვართ, გონებიდან არ გამოგივიდეს, მეთქი. იცოდე, ორი-სამი დღე მაინც უნდა დავაბნიოთ აქა ჰა? შენი მტერია, თუ ხელიდან გაგვისხლტა და ქართველებმაც დროით მოიფხანეს კისერი, ჩვენი პლანი ჩაიშლება...

—მესმის... და ყოველივე ისე იქნება, როგორც ბრძანებთ...

ყარაკლისიდან ს. მდივანი აპირებდა გენ. წულუკიძეს გამოლაპარაკებოდა, ვითარება შეეტყო და გადაეცა, რომ ქართველებს სომეხთა შეტევაზე ხელი აელო. ყარაქლისში დახვდა ჰდროსგან წინასწარ შემზადებული პოლკ. მირიმანიანი.

—სამწუხაროდ ტელეფონი წამხდარია... ასე დაგვღუპავს, თუ უკაცრავად არ ვიქნები თქვენმა, უფრო სწორედ რომ ეს თქვა, სატრაპ გენ. წულუკიძის ჯარისკაცებმა: ხალხის დადუხჭირება რომ არ იკმარეს, სახელმწიფო ქონების წახდენაც ხელობად გაიხადეს

ს. მდივანს გული ჩაეთუთქა: რა ღმერთი გაუწყრა ჩვენს ჯარს,—ნუ თუ ბოლშევიკების გავლენაა, რომ თავისივე თავს ამხობსო?!. პოლ. მირმინიანმა თითქო შეატყო ასეთი დაჯავრიანებაო, ანუგეშა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

—-მაგრამ ნუ დაღონდებით, პატივცემულო სიმონ გურგენიჩ ნაბრძანები მაქვს ტელეფონი აღვადგინო და გზაც გავხსნა.

—ოღონდ დღესვე ახლავე თუ ღმერთი გწამთ რომ ყოველივე ჩემს მთავრობას დროით ვაუწყო, თორემ... ყოველი წუთი საუკუნედ ღირს და ვინ იცის შეგგიანება რა სამწუხარო შედეგი მოჰყვეს.—წარმოსთქვა თითქოს განაწყინებულმა ს. მდივანმა და ცოტა სხვა კილოთი დაუმატა: ახლავე რომ გამისტუმრებდეთ, მაგას არაფერი სჯობია!..

—დიდის სიამოვნებით, ეაგრამ თქვენივე ხელშეუხებლობა და ის იდეა, რომელსაც თქვენ ემსახურებით ჩვენსა და თქვენს სოლ ადარობას, მავალებს მოგახსენოთ, რომ ამაღამ სანაინისკენ გასვლა ანუ ტელეფონის გამართვა ყოვლად შეუძლებელია.., აღშფოთებული სომხის გლეხობა არა თუ თქვენ ჩვენც არ დაგვინდობს...

—მაშ...

—ამაღამ ჩვენთან უნდა გაათიოო, მოუჭრა სწრაფად ცოტა შემპარავი მიმზიდველ ღიმილით პოლკ. მირიმანიანმა, თან დააყოლა: დაღალული იქნებით, ნავახშმევს მოისვენებთ კიდეც...

ს. მდივანმა როგორც კეთილშობილმა ქართველმა, ცოტა არ იყოს, მიპატიჟე ა გულში იუარა. მაგრამ მეტი რა გზა ჰქონდა, რომ არ დარჩენილიყო.

ღამე შესანიშნავად გაატარეს. ს, მდივანის პატივსაცემად სომხებმა მშვენიერი ვახშამი გამართეს. მართალია, ვახშამზე სომეხთა თვალსაჩინო მოღვაწენიც, დაესწრენ, მაგრამ მთელი ყურადღება მხოლოდ ს. მდივანს ჰქონდა მიპყრობილი, ვითარცა სომეხ-ქართველთა ერთობის მოციქულს. განსაკუთრებით დიდის კეკლუცობით დატრიალებდენ სომეხთა ბანოვანნი და ყოველ მისს სიტყვას არაჩვეულებრივად იჩნევდენ. ს. მდივანი ნასიმღვნები იყო, შეზარხოშებული სომეხ ბანოვანთა ალერსით და მამრთა თავაზიანი ხოტბით მიბნედილი... იმ ღამეს ს. მდივნის გარდა იქ მყოფთ ყველამ იცოდნენ, თვით ს. მდივნის თანამხლებელ სომხებმაც, მთელ ღამეს სომეხთა ჯარის სარდალი ჰდრო თავის ჯარის ნაწილებს რა სისწრაფით სწევდა საქართველოსკენ; იცოდენ ისიც, რომ რავდენი ჭიქა ღვინოც აქ იცლებოდა, უფრო მეტი ქართველის სიცოცხლე იქ სადღაც შორს ხევ-ხუვებში ჰქრებოდა; რავდენი მხურვალე სიტყვაც წარმოითქმოდა, ათჯერ მეტი ტყვიაწამალი ქართველთა სამტროდ სადღაც იწვოდა,., აქ ს. მდივანი სავსებით დაარწმუნეს. რომ ყველაფერში ქართველი მესაზღვრე დარაჯები იყვნენ დამნაშავენიო და არც გენ. წულუკიძეა თავის ადგილზე. თორემ ასეთ აჯანყებას გამოიწვევდაო...

რაკი სომხები დარწმუნდენ საქართეელოს ელჩი ახლა-კი სრულიად ჩვენს ხელშია და ჩვენს სასარგებლოდ ალაპარაკდებაო, მოახსენეს:

—სანაინთან ტელეფონით კობერიდან შეიძლება ლაპარაკი. გთხოვთ გენ. წულიკიძეს უბრძანოთ სამხედრო მოქმედება შეაჩეროს, თორემ გლეხების მღელვარებას მერე ვეღარ ჩავაქრობთო.

ს. მდივანს ეს რჩევა ჭკვაში დაუჯდა. კობერიდან სანაინში ტელეფონით გამოიხმო გენ. წულიკიძე.

— გისმენთ. გენ. წულიკიძე.

— საქართველოს ელჩი გელაპარაკებათ. თქვენსკენ რა ამბავია?—შეეკითხა ს. მდივანი.

— დღეს ჩემი ჯარის ნაწილებს სომხებმა სროლა აუტეხეს, რამდენიმე დამიჭრეს და მომიკლეს.

— ეგ არაფერია... შურს ნუ იძიებთ. მე ვაპირებ სანაინზე ჩამოვლას თბილისს წასასვლელად, რათა საქმის ვითარება მთავრობას გავაცნო. ამიტომ დაბეჯითებითა გთხოვთ სომეხ აჯანყებულ გლეხების წინაამდეგ სამხედრო მოქმედება არ დაიწყო. ნუ ესვრიან.

გენ. წულიკიძე ცოტა შეფიქრდა. შედგა, მაგრამ მალე გულის დასადებათ მოახსენა:

— მეც აგრე ვარჩიე..,

ქურდს რა უნდა—ბნელი ღამეო სომხებსაც სწორედ ეს უნდოდათ: თითოეული მათგანი გულის ფანცქალით მოელოდა საქართველოს ელჩი რა გზაზე დააყენებდა სომეხთა წინააკმდეგ გაჩერებულ ქართველი ჯარების ხელმძღვანე სარდალს. გამოცდილ თვალს შეეძლო შეეტყო, ს. მდივანის გენ. წულიკიძესთან ამ ლაპარიკმა რა საამო გავლენაც მოახდინა სომხებზე, რომელიაც უნდოდათ თავის ჯარების საქარსკენ დროზე წაწევა, მაგრამ წინ „წყეული სატრაპი გენ. წულიკიძე“ ელობებოდა თავისი, მართალია მცირე, მაგრამ მაინც მამცი სონაპირე ჯარის კაცებით.

(გაგრძელება შემდეგ ნომ:რში)




ზუგდიდის სცენის მოყვარენი „თეატრი და ცხოვრების“ საღამოს სახსოვრად. (გადაღებ. სამეგრ, ყოფ. მთავრის დადიანის ნასახლარის წინ ბაღში). 5. ლ, გუგუშვილი, 6. კაჭუ ჩიქოვანი, 4. ტ. ლატარია, 2. ვერა ქარდავა, 1, ი. იმედაშვილი, 3, მარ, გვიჩია, 7. ბ ცაგურია, 8. ი. ბოხუა, 9. პ. მეუნარგია, 10. შ პატარაია, 11. მ. ანთელავა, 12. ძ. სიალგავა, 13. მესხი, 14. ხუპულავა, 15. შ. შავგულიძე, 16. ჯაქია.



**ბარნაბა ფოკას ძე გოგუაძე**

ჩვენი სამშობლოს თავისუფლების ერთი ზვარაკთაგანი 1918 წ. აპრილის 8, როცა ჯავშნოსანი №4 60 კაცით შეება ოსმალთა 10000 კაცს ბარნაბა ტყვიის მფრქვევეომებოდა თავგასულ მტერს და ამ გმირულ ბრძოლაში დაიღუპა მშობლებმა წაასვენეს თავისსოფ. ჰანჭეთს (გურიას).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ასე გალობდა ზარი

(ვუძღვნი ვალიკო სალუქვაძის ხსოვნას)

დარაჯი ჰრეკდა სამრეკლოზე ახალ დაკიდულ ზარს და მთელ არე-მარეში ისმოდა წკრიალა ნაზი გალობა ზარისა:

„დილის რიჟრაჟზე, როს ცა გაწითლებულია, ვით მორცხვი ქალწული ქვეყნის სიმშვენის ხილვით, მე ნაზად ავღუღუნდები და გალობით ვხვდები ამომავალ მზის პირველ სხივებს. ფართხალით იწყებენ გაღვიძებული მერცხლები ჩემს გარშემო ჟივილ-ხივილს, ჭიკჭიკით მთხოვენ არ შევწყვიტო გალობა ჩემი. ქოჩორ-გაშლილი ტოროლა ზევით შეინავარდებს და დაბლა გადმოჰკრავს თავის ჟრიამულს. ბევრი ვერცხლი ჩაუდნია ჩემში მოხელეს, რომ უფრო წკრიალი, მხიარული ყოფილიყო ხმა ჩემი.

და ვუგალობებ მთელ არე-მარეს, მსურს მისი გაღვიძება, სიცოცხლის გრძნობით ავსება, ნუგეშის-ცემა.

მთის კამკამა ჩანჩქერს თავს ვევლინები, მხიარული იგი ალერსით მიწყებს რაკრაკს და სწრაფად მირბის, რათა მოუკლას თავის ნაპირის ყვავილებს წყურვილი.

მარტოდ მდგომს, თავის წარსულზე მჭმუნვარე მოხუც მუხას ოცნებასავით თავს ეხვევა ჩემი ხმა და სევდას უფანტავს. ის ტკბილად ჩაფიქრდება, გაიხსენებს თავის მყოფადის ბრწყინვალე ხანას, ამაყურად ერთს შეინძრევა, და ნიშნად მადლობის შორიდან მიქნევს თავის ასწლოვან, დამძიმებულ ტოტებს.

მინდორში მყოფს, სიყვარულით დაჭრილ ალვის ხეს, სატრფოს ხმასავით მივესალმები და ის იმედ-აღვსილი, კეთილშობლურად გამიღიმებს. ველში დათესილ, მობიბინე პურს სუბუქ ნიავივით მიუალერსებს ჩემი ხმა, მხიარულად შეარყევს იგი ოქროს თავებს და ლივლივით ზღვასავით ღელვას იწყებს.

წყნარად შევცურდები, ლატაკ დამტვრეულ ქოხში, და მასში მცხოვრებთა გულში, იქ სადაც ვერ სწვდება მზის სხივები, იმედის ნათელ სხივს ვგვრი, დამტკბარი ჩემი ხმით ბედკრული მუშა, ადგება, წელში იმართება, ოფლით და მტვერით დაცრეტილი პირისახე უნათდება, ღრმა, ჩავარდნილი ტანჯვის მეტყველი თვალები უბრწყინდება და სასოებით იწყებს ჩაგრული უკეთეს მომავალისთვის შეუპოვარ ბრძოლას.

მინდორში ობლად გდებულს დაჭრილ მეომარს ვუტკბობ სმენას და ვუქარვებ ტანჯვას. სისხლის საღვრელად დამწკრივებულ ჯარს მშვიდობას ვუგალობობ, მსურს-ზიზღი შთაუნერგო სისხლისადმი იმათ მღვრიე, გამხეცებულ გულში.

მშვიდობა მინდა ამ ქვეყნად, მშვიდობას ვეტრფი მარადის. მინდა ზეცამდის ავამაღლო ტანჯული ხალხი; მინდა ადამიანს შთავუნერგო ლტოლვა ზეცისკენ, რომ მის გულში ჩავარდეს ციური სიყვარულის სხივი, რათა ბუნება მისი გახდეს ისევ მშვენიერი, ფართე, ღრმა, და ისევ წმინდა, ფაქიზი ვით კრიალა ცისა კამარა.

ოო! ნეტავ! როს გახდება ზეცად მთელი სამყარო. როდის იქნება ვიხილავ ადამიანს სულიერად მძლავრს, ქედ-უხრელს, რომლის ციური შუბლი არ იქნება დასერილი ტანჯვის ნაოჭით, და რომლის არწივისებური თვალები ირგვლივ ბუნების სივრცეში, მოჰყრობილა გამოხატავს მხოლოდ ერთს: ბუნებავ, შენ ადამიანის მონა ხარ, ადამიანი კი არავის“...

ბუუმ.. გაისმა უცბად საშინელი ხმა, ზარს ყუმბარა მოხვდა და ის ნამცეცად ქცეული, მწუხარე ზრიალით დაეცა ძირს.

ასე გალობდა ზარი...

ასე გათავდა მისი გალობა...

ა. აცანელი.

## ვაშა მეთაურთ!

ჩემო სამშობლოვ მკვდრეთით აღდგომას,
გილოცავ გულით, აღფრთოვანებული,
დღეს გაგვიცოცხლდა ვახტანგ-გორგასლიან,
მეფე დიმიტრი თავდადებული:

პატარა კახი, ნინო, ქეთევან,
დავით, გიორგი გაბრწყინვებული,
მცხეთოს, ფარნაოზ, დიდი თამარი
და სააკაძე ომში ქებული.

—

მეფე ერეკლე მხიარულ სახით,
დინჯად გაჰყურებს კრწანისის ველებს,
და პირჯვრის წერით ღმერთსა ავედრებს
ჩვენი სამშობლოს მამულის მცველებს;

ლეონიძე და ხიმშიაშვილი
მეტეხის ციხეს კვლავ დარაჯობენ,
მსაჯულთ-მსაჯული თავის მრჩევლებით
ძველებურადა ქართულად ბჭობენ.

გოგი დიაკონს გაჰხარებია,
აღარ რეკს ზარას სამგლოვიაროს,
და საბა-სულხან ორბელიანი
ღვთის მშობელს შესთხოვს კვლავაც მოგვიაროს.

ვაშა მეთაურთ, რომ გამოგვიხსნეს,
ამდენი ხნობით დამონებული,
მეც მრწამდა სულ არ დაეცემოდა
დიადი სულით ამაღლებული!..

ვარდენ ლვანკითელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დედა—მიწა

ა

ჯერ სად იყო ზღვა რომ გავახილე თვალი და ვიხილე ტურფა ცა, ვარსკვლავთა მძივებით მოქარგული.

გულმა ჩემმა გაიხარა და მზის სტუმარ სხივებს მოუნახე ჩრდილი ჩემს მკერდზე, სულის მოსათქმელად. ობლად შთენილ სიოს აღმოუცენე მწვანე ბალახი და ხის ფოთლები რათა გაეზიარებინა თვისი გულის ზრახვა და ეჩურჩულა მათთან.

სამარისებური დუმილი მიტკბობდა სმენას და ღრმა ფიქრთა სამყაროში ჰფრენდა სული ჩემი...

ბ

მაგრამ ერთფეროვან ლურჯ ცას მოსწყინდა ჩემი ბედნიერება და შეიჭმუხნა შუბლი, რაც შურის გაჩენას ჰმოწმობდა სამყაროში...

შავი ღრუბლები გადამაკრა თავზე და მოსტაცა ჩემ თვალთა ხედავს ტურფა სანახაობა; გაისმა რაღაც უცნაური გრგვინვა საშინელების წინამორბედი... წარმოავლინა წარღვნა, რომელმაც დაჰფარა ჩემი გულ-მკერდი და მძაფრმა ქარიშხალმა ჩაუხრჩო ბედნიერ სიოს მყუდროება სამუდამოდ...

გ

და გაჩნდა ზღვა... ზღვა მრისხანე, მშფოთავი, გიჟი, რომელსაც ვერ შეეგუა ჩემი ბუნება, მის ტალღათა ბობოქრი და ველური ღმუილი მიშფოთებდა სულს, მიკარგავდა მოთმინებას.

ამაყად და თავხედად ეხეთქებოდა ჩემს კიდეებს და სურდა ჩემი შემუსვრა. მძაფრი ქარიშხალი უმღერდა მას ნანას და ტალღათა გორები უფრო მრისხანედ გაჰკიოდა რისხვის სიმღერას...

დ

მოთმინება დაკარგულს გული ცეცხლით ამევსო და აღმომხდა კვნესა...

მაგრამ ჩემი უძლური რისხვა მას სასაცილოდ არ ეყო და უფრო გაბრაზებით დამემუქრა მოსპობას.

უძლური და უძრავი ვიყავ მასთან შედარებით და მიხდებოდა მოთმენა, ვარამის გულში ჩახრჩობა, მის წინაშე თავის დახრა, და მორჩილება...

ე

მაგრამ... მაგრამ... ჩემმა შურმა მაპოვნინა იარაღი ზღვასთან საბრძოლველად... ჩემს ბედს ცვლა მოელოდა, ზღვის ჯავრის ამოყრა შემეძლო...

გავაჩინე ჩემი სხეულიდან ადამიანი, რომელსაც ჩავადგი სული, ჩემი შური და მტრობა, გაუტანლობა და დაუნდობლობა დაუმკვიდრე მას. მისი სურვილები ავაბობოქრე თვით ზღვაზე ძლიერ და ფიქრთა სივრცეში აღვხმაურე ქარიშხალი...

ვ

რა ბედნიერი ვარ!:

ეხლა ზღვაც ვეღარ მაჯობებს თავისი რისხვა-შურით, მუქარით, მოსპობით, რადგან ჩემი შვილის—ადამიანის რისხვა, შური, ზიზღი და ბოროტება უფრო მძლავრია, მისი სურვილების დამშვიდება ძნელია და მოსპობა შეუძლებელი...

იბობოქრე ადამიანის ბუნებავ, სურვილებო, ქანო და გადასცილდი საზღვარს ზღვაზე ზარესად, გადალახე შენი გონებით თვით უსაზღვრო ცა, თუმც მას ვერ შესწვდები, რათა დაანახო, რომ ბუნებაზე მაღლა სდგეხარ, ყველაფერი შეგიძლიან, მაგრამ მშვიდად ცხოვრება კი არა!..

არჩილ მაჭავარიანი

***

(ვუძღვნი ქ—ო შ—იას)

მე შურით გიცქერ, ლამის გავგიჟდე:
შენ ჩემო ტურფავ ტანჯვას განიცდი;
დიახ, ჯერ კიდევ ნორჩ სიცოცხლეში
ამ ტანჯვას გულის, ვით ყვავილს ზრდიდი!..

მწვავი ცხოვრება გტანჯავს, გაწამებს!..
მე კი მშვენებავ, შურით გიცქერი,
რადგან მე არ მხვდა წილად ეს ტანჯვა
და უიმედოთ სევდითა ვმღერი...

...იტანჯე ტურფავ! ტურფავ იტანჯე:
ნუ გამოკრთება შენ ტუჩზე ღიმი;
მეც ნორჩ ყვავილსა ცრემლებს დავაფრქვევ...
ძველ ცხოვრებისაც გაწყდება სიმი!

ეჰ. რა იცოდი, ჩემო სულის დგმავ,
თუ ამ ტანჯვასაც ჩემთვის შეჰქმნიდი,
რა იცოდი, თუ ბნელსა სამარეს
ჩემსა გულს ტურფავ, შენ გაუთხრიდი!

მაგრამ იცოდე ცივ სამარიდანც
შენ ამოგძახებს ტანჯული გული;
და მოიგონებ, თუ როგორ დასჭკნა
ნორჩი სიცოცხლე და სიყვარული...

ს.


ევტროფი თალაკვაძე

სახალხო სცენაზე 20 წ. უანგრო მოღვაწეობის შესრულების გამო. ყველგან მუყაითად მუშაობდა. ასრულებს იმერულ რეზონიორთა როლებს. ამ ჟამად მოწვეულია თბ. ავჭალის აუდიტორიის რეჟისორად.

ეროვნული ბიბლიოთეკა




მგოსანი გალაკტიონ ტაბიძე ნახ. დ. კაკაბაძის
ახალი რომანსის ,,მერის'' სიტყვების ავტორი

## სიმღერა

გულს კვლავ სწიწკნის შავი ფიქრი,
გულს ეუფლა მწარე ურვა
ისევ ისმის ჩუმი თოთქმა!
ისევ ისმის ბედის მდურვა:
თითქმის ყველას განუყრელად,
თან ზღევს ძველი სახის ქმუნვა
დღიურ კითხვებს თ ნვე ახლავს
ცრემლ ნარევი წყევა კრულვა!
აქ კვლავ სუფევს კაცთა შორის სიძულვილი,
შური, მტრობა!.
აქ კვლავ ფეხ-ქვეშ ითელება პიროვნების
სალი გრძნობა!.
აქ კვლავ დადის თავის ფეხით
ერთმანეთის მწარე გმობა;
აქ ერთმანეთს არ ინდობენ, ერთმა ეთის
არ აქვთ ნდობა ..
გაიგონეთ!. აღ რ ძალმიძს აღარ ძ ლ-მ ძს
ყოფა მწარე!
მეხრუკს მიჭერს ეს ცხოვრება
ვერას გზით ვერ გავიხარე!..
წამიყვანეთ იმ მხარეში!
წამიყვ ნეთ, მალე, მალე!
ვერ გაუძლებ ამდენ ტანჯვას,
დავიქნცე, დავიღალე!..

დ. ჭანჭათელი

## ფიმშრალები

შენ სწერდი ღიმით მართალ სიტყვებით ნაფერ ნოველებს.
მე ვუცქერდი შენ შავ თვალებს თრთოლვის მთოველებს.
მორცხვი მიმოზა სიოს ცეკვაზე იშმუშნის ფოთლებს.
მე დავითვერი! გამოვაშრე სასმელი ბოთლებს...
ფიქრის თეთრ ძაფებს დაახრჩა ღელვის ანასკნელი
მოჭქურჟე კოცნა: პირველი და უკანასკნელი,
გაფითრდა ზომში ყვითელ ბაგეზედა მწოლარი,
სარკის მსგავს თეთრ მკერდს დაეფარა ამბრის ოლარი.
შენი ხელები! დანაწვეთი მაზე მელანი...
ვიგემე მე რასაც ვერ იგემებენ ყველანი.
ნავერცხლი ნამი ეპკურა ჩათვლემილ მიწებს.
ხვალ მე ეროტე გულში ვარდის თითებს ჩამიწებს!

—

ხვალ მე ეროტე გულში ვარდის თითებს ჩამიწებს!
გადავივიწყებ დანაცრემლი სამშობლო მიწებს,
ცაში მივფრენავ! თაყვანებით მლოცვენ ყველანი.
მეორე ქვეყნის ფრაზებს ქარგავს ჩემი მელანი ..
და ნათელ მკერდზე დამეფარა კრინობის ოლარი,
მოძმე ვიხილე ქვაფენილზე კვნესით მწოლარი;
მზიანი იყო სიტყვა მისი უკანასკნელი,
როს გადაუწყდა ყოფნის ძაფი, ტანჯვით ნასკნელი.
მე დავითვერი! გამოვაშრე ცრემლები ბოთლებს..
მორცხვი მიმოზა სიოს ცეკვაზე იშმუშნის ფოთლებს.
მე თვალს ვარიდებ შენ შავ თვალებს თრთოლვის მთოველებს.
გიწყევლი ღიმით შენსუაზრო ნაწერ ნოველებს!

ლადო პერტაია.



ვალერი ჯვარიძე —
ახალგაზრდა ნიჭიერი მომღერალი მერის შემსრულებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ო ბ ო ლ ი მ უ შ ა
ახალგაზრდა მგოსანი. ცალკე გამოცემულია „მომავალი“ და „წამების ჯვარზე.“

* * *

ჩემი სული მომავალის
ნათელ სხივთა ჩანჩქერია;
ჩემი ჩანგი, ბრძოლის ჩანგი,
ლაღ ოცნებით ნაჟღერია.
მე ავანთე ბნელ ქაოზში
ცეცხლის ალი გარდამქნელი
და მე უნდა დავმარხო ეს
საუკუნე შავი, ბნელი!..
და ამ მჭიდრო ტურფა მხარეს,
ამ კოპწია ს ქართველს,
ისე მოვრთავ, ავაქვავებ,
ვით ღმერთების სამლოცველოს!

ობოლი მუშა.



**პლატონ ირაკლისძე ლეჟავა**
სამხედრო კავშირის დამაარსებელი გიორგის კავალერი. შევარდენის გამგეობის წევრი. სამხ. კავშრის სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარე.

## „შ ე ვ ა რ დ ე ნ ი“

ვის არახსოვს ქართველთა სამხედრო კავშირი, პლ. ირ. ლეჟავას თაოსნობით რევოლიუციის პირველ დღეებში ქ. ტფილისში დაარსებული (1917 წ. 13 მარტიდან) კავშირმა, სხვათა შორის, იმ თავითვე მიზნად დაისახა ჩვენი ახალი თაობის ფიზიკური განვითარება. ამ მიზნით დაარსა ტან-ვარჯიშობის საზ. „ამირანი. როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა „ამირანი“ გადაკეთდა „შევარდენის“ საზოგადოებად. საზოგადოებამ თვის გამოკვლევებით მთავრობის განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა და შევარდენის ხელმძღვანელი გ. ეგნატაშვილი დაინიშნა განათლების სამინისტროს ფიზიკური განვითარების მთავარ გამგედ.



**საზ „შევარდნის“ გამოსვლა 5 ოკტომბერს 1919 წ. ქ. ქუთაისში. 1 გიმნაზიის ეზოში.**

საზ. „შევარდენი“ საუკეთესო შევარდნები და ძმები დაინიშნენ სხვა და სხვა სასწავლებელში ტან-ვარჯიშობის ინსტრუკტორებად უსურვებთ ჩვენს ნორჩ საზ „შევარდენს“ ახალი თაობის ფიზიკური ჯანმრთელობისთვის ისე მძლავრად გაეშალოს ფრთები, რომ ჩვენი სამშობლოს ყოველ კუთხეში დაეარსებინოს თავისი განყოფილებანი და ყველანი შევარდნებად გადაექციოს.

„შევარდენის“ გამგეობაში: თავმჯდომარედ კ. კაკაბაძე, ამხანაგებად: გ. ნიკოლაძე და გ. ბერელაშვილი, წევრებად ი. ბერიძე, ს. მაჭავარიანი, პლ. ლეჟავა, მ. ლამბაშიძე, ი. სირაძე და დ. ჯავრიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი დიდი ცაცხვი

ჩვენი დიდი ცაცხვი არის მოწმე სიყვარულით დამწვარ ახალგაზრდათა თხვრა-კვნესის...

ჩვენი დიდი ცაცხვი არის მესაიდუმლე სიყვარულით დამტკბარ ორთა გულის ცემის...

—

ჭადარა მერთული, ას წლოვანი ცაცხვი ჯერ კიდევ ამაყად დგას ჩვენი სოფლის ამაღლებულ გორაკზე და დინჯად გადასჭყურებს სამფლობელოს.

ჩვენი სოფელი მისი სამფლობელოა და უფლებაც აქვს.. მის კალთის ქვეშ გაიზარდა, ის ყველას უფროსია.

რამდენჯერ დამტკბარან მის კალთებ ქვეშ ჩვენი სოფლის ახალგაზდანი სიყვარულის ცეცხლით.

დიახ, სიყვარულის ცეცხლი კი არა სწვამს, არამედ ატკბობს ადამიანს.

და უოველთვის ამის მოწმე ჩვენი დიდი ცაცხვია.

* * *

—ჩემო, ანგელოზო, სად შევხვდეთ კიდევ ერთმანეთს? უუბნება ვაჟი ქალს განშორების დროს.

—იქ დიდი ცაცხვის ქვეშ, მწვანე მოლზე დავსხდეთ და ჭადარა ცაცხვი დაგვიფარავს, ჭადარა ცაცხვი, უპასუხებს სიყვარულით მთვრალი ქალი.

ია ვარდ-უკავილების თვე იდგა.

სადამოს ჟამს ჩვენი ცაცხვის ქვეშ მხარ-თეძოზე წამოწოლილი ერთი გამოჩენილი მწერლის რომანს ვკითხულობდი.

ისე გამიტაცა რომანის გმირებმა, რომ სრულიად დამავიწყდა დედა მიწაზე ჩემი არსებობა და ფიქრთა კონამ ცხრა მთას იქით გადამისროლა.

ირგვლივ სამარისებური სიჩუმე გამეფებულიყო; ხანდისხან მხოლოდ ცელქი სიო აალაპარაკებდა ხოლმე რომანის ფურცლებს ჩემი ფიქრები მერე მიბრუნდებოდენ.

დრო გამოშვებით მხოლოდ სიო, ცელქი სიო ჩამჩურჩულებდა ხოლმე რომანიდან ამონაკვნეს მელოდიებს.

—

უეცრივ „ვიღაცამ“ დამიხუჭა თვალები და „მიცანიო“ შემხარხარა სწრაფად გამოვერკვიე, ვიცანი სიოსავით ცელქი „ჩემი“ თამრო, გიჟივით დავძახე გიცანი მეთქი და რაც ძალი და ღონე მქონდა ჩავიკარ გულში.

დაუსრულებელმა კოცნამ ცაცხვიც გაამხიარულა, სიომ უფრო მძლავრად დაუბერა და ცაცხვის ფოთლები ბალაშა ჩაკ-აამღერა.

მხოლოდ ცაცხვი იყო მოწმე ჩვენი თავდავიწყებისა.

—

დრო მიდიოდა, მე და თამრო ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს დიდი ცაცხვის ქვეშ და ბედნიერად ვგრძნობდით თავს. თამრო სიყვარულს მეფიცებოდა, ხან ტირილით და ხან სიცილით მეუბნებოდა „შალვა შენ ხარ ჩემი ერთად ერთი იმედიო“—.

მის აღგზნებულ თვალებში მხოლოდ სიყვარულს ვკითხულობდი.

მასისი იღუოდა. შვიდ ფერა მზეს დასავლეთისაკენ ჩაესვენა და წითლად შეღება ჩვენი ცაცხვის კენწერო-არასოდეს არ ყოფილა ჩვენი დიდი ცაცხვი ისე მშვენიერი.

დღიურ შრომისაგან დაღლილ-დაქანცული გავეშურე ჩვენი ცაცხვისკენ, რომ მწვანე მოლზე წამოვწოლილიყავ და მეოცნება. შეყვარებულის მესაიდუმლე ოცნება ყოფილა. იქ უნდა მოსულიყო „ჩემი“ თამროც.

ოხ, ნუღარ მკითხავთ, ნუღარ გამახსენებთ მის სახელს. მას ვიღაც სტუდენტის თავი ჩაედო კალთაში და ვნებით აღსავსე ხელს უსვამდა, უზურძგვნიდა დიდ ქოჩორს. ის კი ჩემი მოწინააღმდეგე სიამოვნებით თვალებს ნაბავდა.

ყრუანტელმა დამიარა სისხლი თვალებში მომაწვა, მინდოდა მივვარდნილიყავ და ჩემივ ხელით დამეხრჩო ორივენი, მაგრამ სიდინჯემ მძლია, გამახსენდა რომანებიდან ქალების ღალატი და უკან გამოვბრუნდი. მის შემდეგ დავხწყევლე ქალები და აღარა მწამს რა იმათი.

ჩვენი დიდი ცაცხვი იყო მოწმე თამროს ღალატის

შალვა გომართელი



აკაკი იოანნეს ძე ხუხუნი

ამიერ-კავკ. კოოპერატივთა კავშირის ინსტუქტორი, გარდაცვ. ერთი წლის შესრულების გამო.

## საკოპერაციო მოღვაწე

ა. ხუხუნი დ. 1888 წ. ს. ლესაჯეში სენაკმაზ. საშუალო განათლების შემდეგ. შევიდა მოსკოვის კომ. ინსტიტუტში სადაც სწავლა დაამთავრა 1914 წ. და სამშობლოში დაბრუნდა იმ მიზნით, რათა თავისი ცოდნა და ენერგია მოეხმარებინა სამშობლოს და მშრომელ ხალხის სასარგებლოდ; მაგრამ სწორეთ ამ დროს იფეთქა მსოფლიო ომმა და გაწვეულიქმნა სამხ. სამსახურში. რევოლიუციის პირველ დღეებშივე ჩაება რევოლიუციის საერთო საქმის კეთებაში. როგორც სულით და გულით ჭეშმარიტი დემოკრატი, ნამდვილი დამცველი მშრომელთა ინტერესებისა. არჩეულიქმნა თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს წევრად, აგრეთვე მხურვალე მონაწილეობას იღებდა სხვა და სხვა დემოკრატიულ ორგანიზაციებში შარშან მიიწვიეს ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის ინსტრუქტორად მაგრამ. საუბედუროდ, პირველ გამგზავრებაშივე სამსახურის გამო ქუთაისის გუბერნიაში გზაზე შეეყარა „ისპანკა“, რომელმაც იმსხვერპლა. [23 ოქტომბერს 1918 წ.] განსვენებული შრომის მოყვარე, ენერგიით სავსე კოოპერატის განვითარების იდეით გატაცებული იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავისუფლების გარიყრაყზე

სურათი 1 მოქმედებად

მ ო მ ქ მ ე დ ნ ი :

**სამსონი**—ტუსაღი.
**ნინო**—ამის ცოლი
**მიკიტ**—დარაჯი.
**იოსებ**—მღვდელი.
**ვასილი**—ციხის უფროსი.

ციხე. მოსჩანს ციხის კამერა გვერდით გრძელი და ვიწრო გასავლელი. ციხის მოწყობილება მწუხარე შთაბეჭდილებას სტოვებს. სამსონს ტახტზე სძინავს. მეორე განყოფილებაში დარაჯი წინ და უკან მიმოდის. მოისმის სევდიანი მუსიკის მელოდიური ხმა. მუსიკის ხმას ციხის სხვა კამერებიდან ტუსაღი დაბალი ხმით ნელს სიმღერას აყოლებს..

ს ა მ ს ო ნ ი

(მარტო იღვიძებს, მუსიკის და ტუსაღის ხმას ყურს უგდებს, მოისმის მიკიტას ხმა)

მიკიტა. დაჩუმდი შე არამზადავ! . ნუ თუ დაგავიწყდა, რო მე აქა ვარ? . მე ვიცნობ მაგ სიმღერის კილოს..· გაგიქრათ ის დრო.. ვეღარ მოესწრებით მაგ სამარიდან ვეღარ ამოხვალთ!..

სამსონ. საშინელებაა. ძილშიაც-კი თვალ წინ მიდგას ჩემი უახლოესი მომავალი. ახ მიკიტ?!. ცხოვრების მახინჯო სახევ! შენ კიდევ ყვირი (მუსიკა ნელა უკრავს. კიდევ ისმის ტუსაღის სევდიან ხმა ) სიმღერა სამარიდან ამოძახილი! მუსიკის სიმნი უფრო მეტად გრძნობენ ადამიანის ტრაგედიას ვიდრე აი ეს ცოცხალი მძოვარი! (თავს ჩაჰკიდებს) მაგრამ, ხვალ ყველაფერი გათავდება, გაქრება ყოველივე სახრჩობელა. ვინ იცის იქნებ მუსიკის სიმებს ვისიმე ჯადოსნური თითები ათამაშებს. ცოცხალი ცხოველის ძარღვებიდან იქნება სიმები, მეც მომკლავენ. და ჩემს ძვლებზე ბედნიერებას ააგებენ... მაგრამ რას ვამბობ? განა უკანასკნელი წუთები იმისთვის მაქვს, რომ ეს კითხვები ვარჩიო? ამისთვის ხომ დახრჩობა გადამიწყვიტეს. მერე რისთვის? მე, რომელიც ყოველგვარ მკვლელობის წინააღმდეგ მივდიოდი დღეს კი უსამართლოთ თავზე მომახვიეს. სად არის სამართალი. ჭეშმარიტება? (გაიხედავს სარკმელს) მზეც მალე ჩავა. უკანასკვნელია ჩემთვის მისი დანახვა.

„საპყრობილეში იჯდა ტუსაღი
ვიწრო დარკინულს ფანჯარასთანა,
მისჩერებოდა ის ჩამავალ მზეს,
თითქოს მის სხივებს მისდევდეს თანა“

დიახ ჩემი სიცოცხლე ჩამავალ მზის სხივებს მიყვება მარადისობის უფსკრულში. მზე კიდევ ამოვა. კიდევ გაახარებს ცოდვილ დედამიწას. მაგრამ მე. მე... ვეღარ ვიხილავ მას... მისი სხივები მხოლოდ ჩემს გაცივებულს სხეულს იხილავენ. (წერტილს მიაჩერდება) აგერ ნინო. თვალცრემლიანი. ჩემი ძვირფასი ნინო. ღიმილის სხივნი უკრთიან სახეზე. ვინ იცის იქნება კიდეც მელიან, მშვიდობით ტანჯულო ნინო! მე აწ ვეღარ მიხილავ... (დაბნევით დაიხრება) ოჰ, ნეტავ ამ უკანასკნელ წუთებში მაინც მყავდეს ვინმე, რომ უკანასკნელი სიტყვები გადავცე.· არა აქ ხომ დარაჯია. მიკიტ!. მიკიტ!.,

მიკ. ეს ვინ ხმაურობს?

სამ. მე ვარ. მიკიტ მომისმინე. ნუ თუ გრძნობა არა გაქვს. მე ხომ ხვალ უნდა დამახრჩონ.

მიკ. დაგახრჩონ! დიდი ამბავი მომხდ რა, ხმა გაიკმინდე. მე ეხლა სამსახურს ვასრულებ.

სამ. (სასო წარკვეთილი) ადამიანი! სამსახური ასრულებს. ის ცოცხლობს, სულ ერთია, ხომ არ დაახრჩობენ. ხვალ ისევ მზეს მიეგებება. მე კი. ჩემი ხმის მოსმენაც არ უნდათ. (კედელს მიეყრდნობა და გაშტერებული სდგას. ისმის მუსიკის ხმა და ტუსაღის სიმღერა მიკიტის ხმა „დაჩუმდით“) ნებას არ აძლევენ; რომ თავის წამებული სიცოცხლე დაიტიროს. (ხმა მავის დღეს) იმღერე უენო მონავ. დაე თავისუფლების ჰიმნებში მაინც დალიო სული.

მიკ. შენ კიდევ არ იკმენდ ხმას! ნუ თუ ხვალინდელმა საშინელებამ ენა არ ჩაგიგდო?

სამ. ხვალინდელი საშინელება! ოხ როგორ დაცინიან ჩემი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს. (თავს ჩაჰკიდებს ისმის კაკუნი სამსონ საამოვნების გრძნობა გაიტაცებს და ყურს უგდებს)როგორ მნახველებს უშვებენ? რა უნდა ხდებოდეს? მამხნევებენ. (კაკუნი წყდება) ახ, ვიცი. იმედი. გმადლობთ ძვირფასო მეგობრებო უკანასკნელათ მესმის თქვენი კაკუნი. მამხნევებთ, რომ სიკვდილს დამშვიდებული შეხვდე. თუ გინდ მოხდეს, განა მე მომისწრებს? ხვალ მე ხომ სიცოცხლეს გამიქრობენ. (გარეთ ფეხის ხმა ისმის. სამსონი სმენათ გადაიქცევა. შემოდის ციხის მცველი და დარაჯი)

ვასილი. (ჩუმი ხმით) ფრთხილად იყავი, თვალ-ყური გეჭიროს, უბედურობის ნიშნები სჩანს, მაგრამ არაფერია, ყველაფერი მოქორილია იცი, ამ ყაჩაღს ცოლი ნახავს, ფრთხილად, არაფერი შემოგაპაროს (სამსონი სულგანაბული უსმენს).

მიკ. მესმის თქვენო აღმატებავ!

სამ. არა, მე ყური მოვკარი, ეს სინამდვილე იყო. მე კიდევ ვნახავ ნინოს სიკვდილის უკანასკნელ წუთებში. რა უნდა მომხდარიყო? ალბათ რომელიმე მინისტრი თუ გადადგა მაგრამ ეს ასე მალე სიკვდილით დასჯა ხომ ვერ შესცვლის არა, მე ვიცი არაფერი არ არის. ყველაფერი ისე. მომესმი.ნ. იმედი არსად არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ახველებს). საშინელი სენი. რისთვის არ მიდებ ბოლოს (მაჯას ისინჯავს, საშინელი სიცხე მაქვს. ვინ იცის იქნებ მტარვალები ვერ გახდენ ღირსი ჩემი სიკვდილით გაიხარონ... მაშ ნინოს კიდევ ვნახავ. (ახველებს მიწვება ფეხის ხმა ისმის შემოდის ნინო)
მაკ აღკრძალული ხომ არაფერი გაქვს?
ნინო მე უკვე გ მჩხრიკეს. მ იღეთ მოწყალება და დროზე მანახეთ.
მიკ მოესწრებით.
სამ. (კლიტეების ხმაურობას რომ მოისმენს სახე გაუბრწყინდება) ნ ნო მოდის. უკანასკნელი ხილვა. მან კი არ იცის, რომ მე მას უკანასკნელად შევხვდები.(შემოდის ნინო. შეკრთება)
სამ (გრძნობს ნინოს მდგომარეობას) ვერ მიცან ნინო, არა?! მართალია, გაქრა ყოველივე შენი ერთ დროს სიცოცხლით სავსე სამსონი, დღეს სიკვდილის პირზე სდგას (ახველებს.) აჰა, ნიშნები. ხომ გახსოვს, ნინო, ტირილით რომ მითხარ დაშორების დროს: შენისუსტ ორგანიზმი ციხის რეჟიმს ვერ აიტანსო, გამართლდა. მე ეხლა მომავალს ვერ შევეგებები. შენ კი იცოცხლე ნინო.
ნინო სამსონ რას ნიშნავს ეს! შენგან პ რველად მესმის ასეთი სიტყვები. ყოველივე ეს ცუდი პირობების გავლენით არის. აი აქედან გახვალ და წინანდელ ჯამრთელობას დაიბრუნებ.
სამ. აქედან გავალ ..
ნინო შენ არა გაგ-გია, სამსონ, მე პროტექტორები გიშოვნე, მპირდებიან რომ აუცილებლად განგათავისუფლებენ.
სამ გვიანღაა..
ნინო როგორ? ჯერ ხომ შენი საქმე არ გარჩეულა?
სამ... ხო არ გარჩეულა... აწ გაირჩევა, ნინო, როგორ გგონია, იმ ცხოვრებას, რომელსაც ჩვენ ყოველ შეხვედრის დროს ვხატავდით, კიდევ მოვესწრობით?
ნინო. მე ეს რწმენა მასულდგმულებს, ძვირფასო სამსონ.
სამ. (თავისთვის ) ეს რწმენა კი ხვალის შემდეგ აღარ იქნება,
ნინო. რა სთქვი სამსონ?
სამ. არაფერი... ისე... (ჩამოჯდება ტახტზე, სისუსტე ემჩნევა)
ნინო (მაჯას უსინჯავს) როგორ... შენ ხომ სიცხე გაქვს სამსონ. შენ კანონით ეხლა საავადმყოფოში უნდა იწვე.
სამ. კანონით.. განა აქ კანონია.. (ნ ნოს მიაჩერდება.) მართლა მე სულ დამავიწყდა.. როგორ ცხოვრობ ნინო?
ნინო. განა ეს შენთვის გაუგებარია?! ვიტანჯები მაგამ, იმედით რომ შენ განთავისუფლდები, ყოველგვარ ტანჯვას ვიტან.

(დასასრული შემდეგ ნომერში იქნება).

## ერის სიამაყე!

დღეს, 9 გიორგობისთვეს, 30 წელიწადი სრულდება, რაც ქართველთა ერის ბებერი არწივი, ვასო ბარნოვი, სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა და პოეზიის ქსელს ჩაეხვია.

მხცოვან მწერლისაგან განვლილი 30 წელიწადი, ეს ის დროა, როდესაც ცარიზმის ტლანქი, გამძვინვარებული, რეაქცია სიკვდილის ახრჩოლით თავს დასტრიალებდა ქართულ სიტყვიერებას, ქართულ ლიტერატურას და ქართულ სალიტერატურო ნებას, მაგრამ პოეზიის გმირმა, ქართველთა სიამაყემ, ვასო ბარნოვმა, ყველაფერ კოშმარობას სძლია და, თუმცა გაჭირვებით, მაგრამ ღელდა მას ინც გაიტანა და სამშობლო კაბადონზე გამარჯვებული გამოვიდა.

და, აი, დღეს, ეს ბრძოლაში გამოვლილი ვეფხვი, თავის აღზრდილ ერთა შვილების წინაშე სდგას და გამარჯვებას დღესასწაულობს.

შვილები კი მას მხურვალე სიყვარულით ხელს უწვდიან და გამარჯვებას ულოცავენ.

მაშ შემოვკრბეთ ჩვენც მის გარშემო და ვუსურვოთ, რომ ქართველ ერთა საბედნიეროთ მას კვლავ დიდხანს ემუშავნოს სამწერლო ასპარეზზე.

კოლა გულიაშვილი.



**ბორჩალოს სამაზრო ერობის 1 ყრილობა.**
[ეკატერინოფელდში ივლისის 19—22]
აქ არიან ერობის საბჭოს თავმჯდომარე ალ. კ. კორინთელი, გამგეობის თავმჯდომარე პ. მ. კავკასიძე, წევრნი: რ. ა. რამიშვილი, ე. ი. კრომვრი, ნ. ს. პოპანდოპულო, ა. ა. შარიფოვი და სხვ. ბინა—ეკატერინიფელდში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიმონ ხუხუნაიშვილი



ამ ორმოცი დღის წინათ ჩვენი ახალგაზრდა ჯარისა და სახალხო გვარდიის ხელმძღვანელთა რიცხვს, სრულიად მოულოდნელად გამოაკლდა ერთი თვალსაჩინო წევრი, თავდადებული მოამაგე, სიმონ ხუხუნაიშვილი, ნიჭიერი ხელმძღვანელი და გულმაგარი მებრძოლი. სიმონას მოღვაწეობა ამ წუთისოფელში რავდენათ ხანმოკლე იყო, იმდენად ნაყოფიერი და სახელოვანი.

ვინ იბრძოდა თავდავიწყებით სამშობლოისა და რევოლიუციის მონაპოვართა განმტკიცებისათვის პირველ რიგში?—სიმონი.

ვინ არ აკრთობდა პირსისხლიანი მტრის გამოსროლილი ტყვიის ზუზუნი და მკერდ მ შკერილი მედგრათ წინ მიექანებოდა?—სიმონი.

ვინ აჩაღებდა სახალხო გვარდიელთა გულში დაუშრეტელ ცეცხლ ბრძოლისას? - სიმონი.

ვინ სწნავდა მთელი თავისი ძალ-ღონით კეთილ განწყობილებას, ერთობა-სოლიდარობას ჩვენს ჯარსა და გვარდიელებს შორის?—სიმონი.

ვინ თესდა ხალხში სპეტაკ გრძნობებს სამშობლოს დაცვისა და აღდგენისათვის?—სიმონი

და აი სწორეთ დღევანდელ დღეს, რომლისთვისაც ის ასე თავგამოდებით იბრძოდა,—აი ამ დღეს სიმონი აღარ არის. აღარ არის ის, ვინც სხვებთან ერთად ჩვენი დემოკრატიის ახალი ისტორიის შექმნა განმტკიცებას ცდილობდა.

მსოფლიო ომის გამოცხადების დღიდან რევოლიუციის პირველ დღეებამდე ამხ. სიმონი ავსტრია-გერმანიის ფრონტზე იბრძოდა, სადაც მან თუმცა და ბევრი მწარე სჭამა, მაგრამ ამავე დროს სამხედრო საქმეების დიდი გამოცდილებაც შეიძინა მაშინ, როდესაც ჩვენს სამშობლოს მრავალ რიცხოვანი მტრები განადგურებას უქადდნენ და საქართველოს დედა ქალაქი თფილისიც ანარქიის ალში იყო გახვეული, ამ დროს სიმონი ავსტრია გერმანიის ფრონტიდან ახლათ დაბრუნებასთანავე გურიის რაზმთან ერთად თფილისისკენ გამოეშურა, რევოლიუციონური წესრიგის აღსადგენათ, სადაც თფ. აღმ. კომ. განსაკ. რაზმში საპატიო ადგილი დაიჭირა, მას შემდეგ ამხ. სიმონა საქართვ. რესპუბ. შინაურ თუ გარეშე მტერთან ბრძოლაში ყოველთვის პირველ რიგში იდგა და თავგამეტებით იბრძოდა.

ყველა ამის დასამტკიცებლათ საკმარისია მოვიგონოთ:

1. ქ. თბილისში რევოლიუციონური წესრიგ აღდგენა განსაკუთრ. რაზმის შემწეობით; 2 სოხუმის ოლქში ბოლშევიკების მიმართ სიმონას მეთაურობით ჩვენი ჯარის გამარჯვება; 3. ნატანებიმახლობლათ, ოსმალთა ჯართან შეტაკების დროს, სიმონას მეთაურობით ჩვენი სახელოვანი გამარჯვება; 4. ეკატერინენფელდში—სომხეთის მოდალატე ჯართან შეტაკების დროს, ჩვენი ჯარის ისტორიული გამარჯვება სიმონას მამაცობათ. 5. სოჭის ფრონტზე შავი რეაქციის მიმართ.

მართალია, თუმცა პირველობა სას. გვარდიის მეთაურ ამხ ვალიკო ჯუღელს ეკუთვნის, მაგრამ მეორე რიგში მუდამ ამხანაგი სიმონა იდგა.

მშვიდობით, ამხანაგო სიმონ! შენი ამაგი, ხსოვნა და სიყვარული სამუდამოდ დაუვიწყარი დარჩება ქართველ ხალხის გულში.

თეოფანე ზემო-აკეთელი.

## ხელოვნების მფარველი.



ნიკო იესეს ძე დემირბაშვილი ქართული პოეზიის და სიმღერების ძლიერ მოსიყვარულეა და ხელოვნების უანგარო მსახური. ჩვენი ახალგაზრდა მომღერალი სიხარულიძეს (დრ. ბარიტონი) რომელიც დღეს მოსკოვში ზიმინის თეატრის მსმენელებს ატკბობს, უპირველესად ნაღმა ნიკომ გაუმაღლა შინა ხმა, ეხმარებოდა უკაფავდა გზას ხელოვნებისაკენ და თავის სტიპენდისთ დაამთავრებია აქაური მუსიკალური სოკლა. ნ. დემირფაშვილს აქვს ახალ რომანსებს „მ თხარ ტურფავ“ სიტ ჯვ რიძის გერკულესი სიტყვები ვ. რუხაძისა, „ოხ მწვანე ველო სიტყ. ი. ევდოშვილისა მწარე მელოდია, სიტ. გ. ტაბიძისა, და პიანოსთვის „მტკვრის დუდუნი და სხვ. ჰყავს სტიპენდიანტებიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უიმედო სიყვარული

(მოთხრობა ძველი დროიდან)

ჯერ მზე არ ამოსულიყო და თავისი სხივები არ მოეფინა ზამთრის სუსხისაგან გაყინული დედამიწისთვის, უზარმაზარი ქანდრის შერთვილული წვეროები და მაღალი მთის დათოვლილი კალთები თუ იყვნენ ოდნავ შეწითლებულნი. თვალწარმტაცი დილა იყო სოფელ ცხილეთში. აგერ დიდმარხვის ცისკრის ზარიც დაირეკა, ხალხი ფაცა-ფუცით მიეშურება ეკლესიისაკენ. მაგდანიც თვალების ფშვნეტით და პირჯვრის წერით გამოვიდა გარეთ და პატარა ოთახის კარს კლიტე დაადო. წამოისხა თეთრი, სპეტაკი ჩადრი, კოხტად აიწია ჩადრის კალთები იღლიებში, ერთი კიდევ მიიხედა სახლის კარისაკენ თითქო დაავიწყდა რამეო, ღმერთო ჰფარავდეო, წაიდუდუნა თავისთვის და ჩქარის ნაბიჯით გაეშურა ეკლესიისაკენ

მაგდანას ქალი მაკინე ამდროს ოთახში იყო გამომწყვდეული. დედას ერთხელვე დაშინებული ჰქონდა. ფრთხილობდა, რომ მის ერთად ერთ, გასათხოვარ 16 17 წლის ქალს არა დამართოდარა. ამიტომ, როცა კი სადმე მიდიოდა, მაგდანი მუდამ ტყვესავით უკეტავდა კარს. საზიარებელი რომ არა ყოფილიყო იქნებ ფეხიც არ გაედგა გარეთ

იგი შევიდა ეკლესიაში სასოებით პირჯვარი გადიწერა, ხატებს ემთხვია. სანთლები აანთო და ერთხელვე ამორჩეული ალაგზე დადგა.

მაკინეს უკვე გამოღვიძებოდა. იგი მარდათ წამოდგა ლოგინიდგან. პირი დაიბანა, გიშერივით შავი და სქელი თმა დაივარცხნა, ერთ ნაწნავად ჩაიწნა, ჩაიცვა მუქი ბოროლისფერი კაბა, თუმცა სადა და იაფ ფასიანი, მაგრამ მეტად ლამაზი და მოხდენილად გამოწყობილი. მაკინეს მორცხვს და სინაზით სავსე მიმოხვრაში ქალწულებრივი უმანკოება გამოსჭვიოდა. მაკინე კარებთან მივიდა, მაგრამ დაკეტილი დახვდა იცოდა რისთვისაც უკეტავდნენ კარს უცებ გულზე სევდა შემოაწვა.

— ღმერთო ჩემო რისთვის ან როდემდის უნდა ვიტანჯო ასე? სთქვა თავისთვის მაკინემ და თვალებიდგან მარგალიტებივით ცრემლები გადმოსცვივდა.

— რა დავაშავე, რად უნდა ვიჯდე ოთხ კედელ შუა?

მაკინეს გული ამოუჯდა. იგი პირქვე დაეგდო ლოგინზე და მოჰყვა ქვითინსა. ტირილით რომ გული იჯერა, მაკინე ფიქრებმა გაიტაცა. მოაგონდა თავისი ბავშობა, როდესაც იგი მხიარული სიცოცხლით სავსე ცქრიალა გოგონა იყო, რისთვისაც იგი ყველას უყვარდა; იმის მამას გარსევანს ხომ ვაჟიშვილებს ერჩივნა. ეხლა კი აგერ ორი წელიწადია რაც მისი გული რაღაცა გამოუთქმელს სევდას ნაღველს შეუპყრია.

— მე ხომ არა ვარ იმისი უბედურების მიზეზი!? კვლავ ეკითხებოდა მაკინე თავის თავს. ამ დროს მას ცხადათ წარმოუდგებოდა ხოლმე ცეცხლებრივი მწვავე თვალები. რომელნიც ისე დაჟინებით შესცქეროდნენ და ტანში ჟრუანტელი დაუვლიდა.

მაკინეს რაღაცა ხმაურობა მოესმა. იგი უცებ წამოიჭრა, ხელი შეახო კარს, რომ დარწმუნებულიყო დაკეტილი იყო თუ არა. მაკინემ ფანჯარაში გაიხედა. საბძელთან ატუზულიყო ძონძებში გახვეული ზურაბი. ყინვისაგან სახე შესწითლებოდა უაზრო, გაშტერებ თვალები მაკინეს სარკმლისაკენ ჰქონდა მიმართული: ქალს შიშის ჟრუანტელმა დაუარბინა ტანში, მთელმა სხეულმა თრთოლა დაუწყო. წუთით იგი თითქოს გაქვავდა, თითქოს მათი თვალები ურთი-ერთს შეხვდნენო. შემდეგ იგი უცებ ტახტზე დაეცა და მორთო გულ ამოსკვნილი ტირილი.

— ღმერთო, რა უნდა ჩემგან. მაგის შიშით ვერსად გამივლია, კარებიც კი ვერ გამიღია. რად დამდევს უკან, მაგრამ ეხლა ხომ ჭკუა ნაკლებია. მაგისი სხვასაც ეშინიან. მოვალე გახდნენ ისინი, ვინც ამ გარემოებაში ჩააგდეს...

— შე დედამკვდარო, კიდევ გიტირნია!? მიმართა მაგდანამ, რომელიც ის იყო ცისკრიდან დაბრუნებულიყო. — რა გინდა შვილო სულს საეშმაკოთ რად მიხდი, როდემდის ავიტანო შენი მაგოდენა ტირილი. გულთა მხილავმა ღმერთმა ხომ იცის, რომ არც შენ და არც შენ მშობლებს ზურაბთან არაფერი ცოდო მიგვიძღვის. იმას თუ მართალა უყვარდა და შენი შერთვაც ჰქონდა გულში მღეროდა, ყმანო რატომ ბანს არ მეუბნებითო. ჩვენ რა მოგვაგონებდა. მერე შორეული ნათესავიც არის. ვისაც ცოლშვილიანობა უნდა, კი არ უნდა გაბედოვლათდეს და მამულ-დედული ჰყიდოს, პირიქით უნდა მხნე და ხელმომჭირნე იყვეს. მაგრამ ზოგს ხომ სიყვარული გადარევს ხოლმე, ქალი თუ ვაჟი თავგზას ჰკარგავენ. მშობლების მოვალეობას ივიწყებენ. თუ მოეწონათ ვინმე, უთუოთ უნდა დაიჟინონ და დაახლოვება მოიწადინონ. შესაფერიც რომ არ იყვეს არ დაგიდევენ. ბოლოს კი მიხვდებიან ხოლმე თავის შეცდომას, მაგრამ გვიანღა არის. ერთმანეთს მოიმწვანილებენ და ჩაუვარდებათ ხოლმე ოჯახში დაუსრულებელი შფოთი და უსიამოვნობა. ბევრი ხომ სიცოცხლესაც სწირავს სიყვარულს. არა, შვილო, ჩვენ ასეთი არც სიყვარული და არც ცოლქმრობა ვიცოდით

დედის ლაპარაკში მაკინე ცოტა არ იყოს დამშვიდდა და ოთახის ლაგებას შეუდგა. მათი სახლი ორი ოთახიდგან შესდგებოდა. ერთში თითონ სცხოვრობდნენ, მეორე კი საკუჭ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათ ჰქონდათ მოწყობილი. თუმცა სახლის მოწყობილება ღარიბული ჰქონდათ: სამი პატარა ტახტი მუთაქებითა და ხალიჩებით დაფენილი, უბრალო სკამები, მაგიდა, რომელზედაც ქალის ხელსაქმის პატარა კალათა იდგა, მაგრამ ყველაფერს სიფაქიზე და დიასახლისის ხელი ეტყობოდა.

მაგდანი ნამდვილი ამხანაგი იყო თავის ქმრისა, იგი მხარში ამოსდგომოდა თავის მეუღლეს, გარსევან გულკეთილიძეს და ოჯახის ზრუნვაში დღე და ღამეს ასწორებდა. მეტიჯაფისა და მხნეობისაგან ძვალ ტყავად იყო გადაქცეული საცოდავი ადამიანი. იმისი გამხდარი, მაგრამ ლამაზი პირისახე და გონიერი თვალები მუდამ დაღვრემილი გამოიყურებოდნენ. ნათლად ამოიკითხავდით მის სახეზე, რომ მის გულს რაღაცა სევდა-ვარამი აწუხებდა.

მაკინეც შველოდა თავის დედას დიასახლისობაში და მეტადრე ხელსაქმეში. ჯერ როცა სულ პატარა იყო, წერა კითხვა და ხელსაქმე მისმა დეიდამ, ტასია მოლოზანმა ასწავლა, ქსოვასა და ოჯახის საქმეს რომ მორჩებოდა, მაკინე წიგნს აიღებდა ხოლმე და გულმოდგინეთ და გატაცებით კითხულობდა. საზოგადოთ პატარაობითვე იგი მეტად მგრძნობიარე და დაკვირვებული ბავშვი იყო. ბევრჯელ ისე გაიტაცებდნენ ხოლმე მისთვის ჯერ კიდევ გაუგებარი აზრები, რომ იმის ჩვილსა გულსა და გონებას მძიმე საგონებელში ჩააგდებდნენ.

ერთ დღეს მაკინე თავის პატარა ოთახში იჯდა და ხელსაქმეს აკეთებდა. მაგდანიც ეს იყო წირვიდან დაბრუნებულიყო.

—შვილო, მამაშენი სამუშაოდამ არ მოსულა? ჰკითხა მაკინეს დედამ.

მაკინემ პასუხის მიცემაც კი ვერ მოასწრო, რომ გარედან უცებ რაღაცა საშინელი წივილ-კივილი მოესმათ, დედა-შვილი გარეთ გამოსცვივდნენ, გაიხედეს იქით, საიდგანაც ხმაურობა ისმოდა. მათ თვალს საბრალო სანახაობა წარმოუდგათ: დიდი და პატარა აქეთ-იქით გარბოდნენ, აქა-იქ დაღეწილი კოკები და სურები ეყარა. ისმოდა უშვერი ყვირილი და ლანძღვა. საბძელთან იდგა ზურაბი, რომელსაც ხელში დიდი კეტი ეჭირა და წყაროზე მიმავალ ქალებსა და ბავშვებს დარეოდა. იგი იყო ოცდა ათის თერთმეტის წლის ვაჟკაცი, ფეხშიშველი, ტანზე რაღაც, ჩოხისკონკება ეცვა, თმა და წვერ-ულვაში, დაწეწილი ჰქონდა და დიდრონი ამღვრეული და დასისხლიანებული თვალები, ნესტოებ გაგანიერებული მეტად საშიშს სურათს წარმოადგენდა. თავის საწადელი რომ აისრულა, იგი ერთ ალაგს გაჩერდა კეტ მოღერებული, მძიმეთ სუნთქავდა და დათვივით რაღაცა გაუგებარს ბურტყუნებდა. მაკინე გაფითრდა, გულმა ძალზე ძაგაძუგი დაუწყო, დედა შვილი ქვანაკრავსავით უცბად უკანვე შეცვივდნენ სახლში და კარი ჩაიკეტეს.

მარიამ წინამძღვრიშვილი

(გაგრძელება შემ. ნომერში)

## ხელოვანი მებაღე



გიგო ჭიშკარიანი

აგერ მესამე წელიწადია, გიგო ჭიშკარიანის ნამოქმე დარს ვუცქერ. ამ ახალგაზდა მებაღემ, თავის მეცადინეობით და საკუთარი ნიჭით გვაჩვენა სამი სურათი: შოთა რუსთაველის, ტარიელის წყლის პირას მჯდარი თავის მერანით და საქართველოს რესპუბლიკის ღერბის—გიორგი ძლევამოსილი, რომლებიც გაკეთებულია ხელოვნურათ ცოცხალი ყვავილებისაგან. იგი, რავდენიც დრო გადის, იმდენათ უფრო და უფრო მეტს მხნეობას იჩენს. და აუმჯობესებს თავის ხელოვნებას. კარგი იქნებოდა ამ ახალ გაზრდა მებაღეს მიექციოს ყურადღება იმ დაწესებულებისაგან სადაც მსახურობს, და მიეცეს საშუალება მხატვრული ცოდნის შეძენის. როგორც გავიგეთ ეს ახალგაზდა მებაღე ნივთიერად შევიწროებულია და ცოდნის შესაძენათ დახმარება საჭიროებს. იმედია, ზემოხსენებული ქართული კლუბის საზოგადოება ამ ახალგაზდა მებაღეს უყურადღებოთ არ დასტოვებს და მის ბუნებით ნიჭს გზა ფართოს მისცემს.

უცნობი



წმ. გიორგი ძლევამოსილი საქართველოს ღერბი. (გიგო ჭიშკარიანის მიერ ცოცხალი ყვავილებისგან ხელოვნურად გაკეთებული ქართულ კლუბის ბაღში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სხვადასხვა ამბები

**ქ· ზუგდი დში** ოკტომბრის 24 პ. მეუნარგიას თაოსნობით ზუგდიდის მოსამსახურე"ა სცენის მოყვარეთა **წ**რის მიერ გაიმართა სცენის მოყვარის პლატონ სართანიას ხსოვნის საღამო. დაიდგა ,,ბატონი და ყმა'' პიესის დაწყებამდე იოსებ იმედაშვილმა წარმოსთქვა სიტყვა სახალხო თეიტრის მნიშვნელობაზე, მის მუშაკებზე და პ. სართანიაზე პიესა წარმოდგენილ იქმნა სრულის ანსამბლით. საყოველთაო ყურადღება მიიქციეს თვისი ბუნებრივ ხელოვნური აღსრულებით ვერა ქარდავამ პეტ- მეუნარგიამ, ნ. ჯალალონიამ, კაჭუ ჩიქოვანმა, ვეკუამ, ჯიქიამ.—მეორე დღეს გაიმართა ,,თეატრი და ცხოვრების'' მეორე საღამო. იოსებ იმედაშვილმა წარმოსთქვა ორი სიტყვა: ''ცხ.ოვრება და ხელოვნება'' და .,ქართველი მეომარი წინად და ახლა.' წარმოადგინეს ირაკლი ბოხუას ახალი პიესა ,.გაუმარჯოს საქართველოს!' წარმოდგენა იქმნა არაჩვეულებრივის ანსამბლით. საუცხოვონი იყვნენ კაჭუ ჩიქოვანი ჯვებე კილასანიას როლში (მეგრული კილოკავით) და ავტორი პიესისაირ· ბოხუა—გოგია კრახუნაძის როლში. მათი მხრის დამამშვენებელნი იყვნენ: ვერა ქარდავა (ატატო), თამრო კარტოზის (მარო), ნ, ჯალაღანია (სიკო ბრახუნიძე-ბოლშევიკი). ყველა მონაწილენისაზოგადოებამ მხურვალე ტაშით დააჯილდოვა. ავტორს ირ. ბოხუას მიართვეს თაიგული, იოსებ იოსებ იმედაშვილმა მოკლე სიტყვით დაახასიათა მისი მუშაკობა.

**დ. ლაილაშში** 18 სექტ. დრამ. საზ-ის გამგეობის თაოსნობით მოხდ. საზოგადოების კრება, რომელსაც გულშემატკივრისათვის ვითომ თვისი გულის წყრომა უნდა გამოეტანა „თეატრ და ცხოვრება"—ში (№ 10) მოთავსებულ წერილის გამო. გამგეობის ცდამ უქმად ჩაიარა კრებამ აირჩია განსაკუთრებული კომისია, რომელმაც **იქსჯელა** „გულშემატკივარის'' ბრალდებების შესახებ და გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია: გამგეობას არც არაფერი გაუკეთებია, არც არაფერი წაუხდენიაო, ძალიან სამწუხაროა ეს მოვლენა ჩვენ რომ გამგეობას ვირჩევდით, ვფიქრობდით რამეს გააკეთებდა საზოგადოებისთვის თუმცა ზოგიერთი წევრი ცდილობდა რამე გაეკეთებიხა, **ხოლო** ვინმე თუ მათ უთხრა მიძინებული იყავითო, ძალიან საფუძვლიანი ყოფილა და ამისთვის არავითარი გულისწყრომა ლანძღვა არ დაუმსახურებია ,,გულშემატკივარს'': მადლობის ღირსი გამგეობის ხაზინადარი თ. ქარსელაძე, რომლის მეოხებითაც დაქირავებულ იქმნა ახალი დარბაზი თეატრისთვის, რისთვისაც დიდი შრომა და ენერგია დახარჯა.

**ლაილაშელი.**

**პატაძეულის** მოწინავე პირთ გამოფხიზლება დაეტყო. გასულ ზაფხულს ოთხი წარმოდგენა გამართეს საქველმოქმედო მიზნით. არჩეულია გამგეობა—ზაქ. ბილანიშვილი, ანასტასია გულისაშვილისა, ალ. ბურთიკაშვილი, ვანო ფიცხელაური, მიხ. ჯიღაური, შაქრო ყუშიტაშვილი, ზაქ. ოთარაშვილი. უკვე შეიძინეს სათეატრო ადგილი შენობით (დახურვა-ღა უნდა ),ამ სათეატრო შენობის სასარგებლოდ ორი წარმოდგენა გაიმართა. წრეს განუზრახავს ამავე მიზნით შემოწირულება შეკრიბოს და საგანგებო გადასახადები შემოიღოს. ამავე წრემ გაალო 11 წლის მიკეტილი სამკითხველო (ძეო ყუშიტაშვილის მიერ დაარსებული)·-საერთოდ პატარძეულს საკულტურო საქმეში გამოფხიზლება ეტყობა. უკვე შემდგარია სცენის მოყვარეთა წრე. ზაქ. ბილანიშვილის თაოსნობით გაიხსნა საფეიქრო სკოლა (ამის მზრუნველია ანასტასია გულისაშვილისა). ფიქრობენ ლექციების მოწყობასაც.

**— ლი**

**სახალხო გვარდსიის მთავარ შტაბთან** არსებულ საგანგებო ბათალიონშიშედგა კულტურულ-განმანათლებელი კომისია. კომისიის მიზანია სისტემატიურათ მართოს გვარდიისთვის წარმოდგენები, ლექციები, დაარსოს სამკითხველო და სხვა. კომისიაში შედიან: ექიმი ჭელიძე (თავმჯდომარე) კ. კვერნაძე (თავმჯდომარის ამხანაგი); ჭუმბაძე (მდივანი) ი. ჯუღელი, კ. კრავეიშვილი, ი. გორა და ბ. ტობერშანი. კომისიამ მიმართა მთავარ შტაბს დაუთმოს მესანთლეთა შენობებში შესაფერი შენობა მომავალი თეატრის მოსაწყობათ· ამასთან აზრათა აქვს კომისიას მიმართოს განცხადებით სახალხო სახლს და მუშათა კლუბებს დაუთმონ წარმოდგენის გასამართავად შენობა. დარწმუნებული ვართ ამ ფრიად სიმპატიურ საქმეს საზოგადოება თანაგრძნობით შეხვდა.

— **ახალი არშინ მალ-ალან.** მწერალმა კ. კარდენახელმა დასწერა ახალი აზიური პიესა ,,რეკორდ არშინ მალ-ალან'', ოპერა 4 მოქმ. და 6 სურ., რომელიც გადაცემულია ახალ აზიურ მოტივთ შესამუშ.

**ახალი პიესები.** კ. გერგესელმა დასწერა ორი პიესა ,,ნიღაბ-ქვეშ.. .დრ. 3 მოქ. და ,,გზა ჯვარედინზე.. დრამ.4 მოქ. პირველი დადგმული იქნა ქართველ მსახიობთამიერ მეორე სამტრ, დრამ. წრის მიერ.

**ხელთნაწერი პიესა ,,გზა ჯვარედინზე'' დაკარგა კ. გერგესელმა** ავტორი მპოვნელს სთხოვს შემოიტანოს „თეატრი და ცხოვრებიაში'' საჩუქარი მიეცემა

**მეფუტკრეობა** ბერტრანისა, რომელიც ციხეში სთარგმნა ლ. ცაგარელმა ცალკე წიგნად იბეჭდება.

**ათის წლის თავი** სრულდება მომავალ 1920 წ. იანვრის 2, რაც ,,თეატრი და ცხოვრება'' დაარსდა.

**ქართული ლატარია** გაითამაშეს გიორგობისთვის 2 სახელ. თეატრში. გათამაშეგა დღის ზეიმით დაიწყეს.

**სტუდიის** წარმოდგენები დაიწყება ნოემბრის 12.

**ციმბირის ქართველთა** წარმომდგენელნი ერმილე ხავთასი და დავ. როსტომაშვილი თბილისს ჩამოვიდნენ. ციმბირში 6000 ქართველია ყველა ქალაქში ეროვნული ბიუროა, ცენტრალური ბიურო ხარბინშია. საქართველოს დამოუკიდებლობას დიდის აღფრთოვანებით შეხვდნენ და მზად არიან ნივთიერად და ზნეობრივათ დაეხმარონ სამშობლოს წინსვლას. ერ. ხავთასის და როსტომაშვილს სხვა დასხვა დავალებანი აქვთ მთავრობასთან

## შემოწირულება

**,,თეატრი და ცხოვრების''** სასრგებლოდ მივიღეთ.

**კაკი მეთოდისძის ხოშტარიასგან** 5000 მ·

**ხეთის** სცენის მოყვარეთგან ვ. ნაჭყებიას და პ. მეუნარგიას თაოსნობით გამრთულ საღამოსაგან 2560მ.

**პეტრე მეუნარგიას** თაოსნობით ზუგდიდში პლატონ სართალიას თაოსნობით გამართულ საღამოს შემოსავლის ნაწილი 478 მ. 50 კ.

**ნესტორ ძიძიგურისგან**—100 მან.

**ხობის** სცენის მოყვარეთაგან ვ. ქობულიას ჭ. იოსავას თაოსნობით **გამართულ** საღამოსაგან1100 მ.

**ერმ სვ. ხავთასისგან**—500 **მან**.

შემომწირველთ გულითად მადლობას ვუძღვნით, რედ.

მიიღება ხელის მოწერა 1920 წ.

# ჟურ ,,თეატრი და ცხოვრება''-ზე

(დაარსდა 1910 წელიწადი გამოცემისა—მერვე)

**სათეატრო, სამხატვრო, სამუსიკო, სალიტერატურო და საზოგადოებრივი შინაარსის, უპარტიო პროგრესიული, სურათებიანი კვირეული ჟურნალი.**

საუკეთესო თანამშრომელთა მონაწილეობით.

ფასი: წლიურად 50 მან., ნახევარი წლით—30 მან.' თითო 5 მან. ხელის მოწერა მიიღება რედქციაში თბილისში, ბაზრის ქ №20, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, სახლი ანრჯევანიძისა. ფოსტით: თბილისი რედ. ,,თეატრი და ცხოვრება'' იოსებ იმედაშვილს.

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი